

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის
20 ივნისის დადგენილება

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის თანახმად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საბჭო აცხადებს კონკურსს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად.

დეკანის არჩევნები ჩატარდეს 2017 წლის 18 ოქტომბერს.

დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

დეკანის არჩევნები გამოცხადდეს 2017 წლის 05 სექტემბერს.

კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო 2017 წლის 06 ოქტომბერს და დასრულდეს 12 ოქტომბერს. განცხადებების მიღება მოხდეს ყოველ დღე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში.

2017 წლის 16 ოქტომბერს (14:00 სთ) მოხდეს კანდიდატთა მიერ სამოქმედო პროგრამის საჯაროდ წარდგენა ამომრჩეველთა წინაშე.

კანდიდატებმა განცხადება უნდა წარადგინონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას უნდა დაერთოს:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ;
3. სამოქმედო გეგმა;
4. ინფორმაცია განათლების, შრომითი გამოცდილების, აკადემიური ხარისხის თაობაზე.

ინფორმაცია ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე განთავსდეს ფაკულტეტის ვებ გვერდზე და განცხადება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.